„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №11-12 (9553-54) ● 1-31 ივნისი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

26 მაისი სენაკში

26 მაისის აღნიშვნა დილიდან სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებებით დაიწყო. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებითა და მუნიციპალური აიპების ჩართულობით გაიმართა. სანახაობრივად დატვირთულ ღონისძიებებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები შეუერთდნენ. უამინდობის მიუხედავად, ჟიული შარტავას სახელობის ცენტრალურ პარკში მოეწყო სხვადასხვა სივრცე - გასართობი და საბავშვო ატრაქციები; ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა/გაყიდვა; მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მიერ ორგანიზებული ყვავილების ფესტივალი, სპორტული აქტივობები - მაგიდის ჩოგბურთში, ტაეკვანდოში, ძიუდოსა და მკლავჭიდში, ტურნირი მინი ფეხბურთში, დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა ხელოვნების ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტი. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზმა ადგილობრივ შემსრულებლებს უმასპინძლა. მიხეილ ქურდოვანიძის სახელობის ჭადრაკის სახლში სენაკელი მოჭადრაკის, გოჩა ტყებუჩავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა. სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში გამოიფინება ოქროს ფონდში დაცული ხელოვნების უნიკალური ფერწერული ნამუშევრები. ღონისძიებებს, ქალაქის ცენტრალურ პარკში, დასკვნითი კონცერტი - სოფო ბედიას, ელენე ფოჩხუას, ბოკა კვეკვესკირისა და ლაშა თოლორდავას მონაწილეობით.

საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სენაკში, საზეიმო და გასართობი ღონისძიებებით აღინიშნა. მუნიციპალიტეტის საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელებსა და პედაგოგებს მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრმა უმასპინძლა, სადაც ტრადიციული საზეიმო კონცერტი გაიმართა.

ქალაქის ცენტრალურ სკვერში, ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, პლენერი და სახეზე ხატვა მოეწყო.

სულხან ცინცაძის სახელობის დიდი საკონცერტო დარბაზი, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს დაეთმო, სადაც თემატური კონცერტი გაიმართა. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ტურნირი - 7- დან 9 წლის ასაკის საფეხბურთო გუნდების შორის.

ქალაქის ცენტრალურ პარკში მოეწყო საბავშვო გასართობი ატრაქციები და ქაფის შოუ.

ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდნენ.

აქტივობები სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის და მუნიციპალური აიპების - სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების, ხელოვნების ცენტრის, მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების ორგანიზებით გაიმართა.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ექსკლუზიური ინტერვიუ

,,ასეთი ფესტივალი საქართველოს მეორე არა აქვს"

*** ქართულ კულტურას რეგიონები ასაზრდოებენ**

*** ბავშვთა ფესტივალებს შორის პირველ ადგილზე დგას სენაკის ფესტივალი**

*** მარტო ერთი ადამიანი ვერ აკეთებს ვერსად ვერაფერს**

*** მიმაჩნია, რომ ქართული მუსიკა იწყება მეგრული ,,ნანათი"**

ჩვენი სტუმარია სენაკის საპატიო მოქალაქე, ფესტივალის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, მსოფლიოში აღიარებული პიანისტი, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, ხელოვნების აკადემიის რექტორი, ვალერიან შიუკაშვილი, რომელმაც ფესტივალის დღის წესრიგიდან გამომდინარე, გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ჩვენთან სასაუბროდ გამონახა დრო, რედაქციის სახელით მადლობას ვუხდით მას გულწრფელი დიალოგისათვის

ბატონო ვალერიან, როგორ გაგიჩნდათ იდეა სენაკში დაგეფუძნებინათ რეგიონალური მუსიკალური ფესტივალი?

მე არა, ეს იდეა ეკუთვნის ქალბატონ რუსუდან მილიუტინს. წლების წინ თბილისში ვატარებდი ეროვნულ კონკურსს, სადაც ქალბატონ რუსუდანს რამდენიმე მოსწავლე ჰყავდა ჩამოყვანილი. პირადად მას მაშინ არ ვიცნობდი. იგი მოვიდა ჩემთან, კულისებში მოწიწებით და შემომთავაზა სენაკში ჩამოსვლა და კონცერტის ჩატარება მოსწავლეებისათვის. (სხვათაშორის ამ ისტორიას ის უფრო საინტერესოდ ჰყვება). მას იმედი არ ჰქონია, რომ ამ წინადადებას დავთანხმდებოდი და რეგიონში ჩამოვიდოდი, არადა საერთოდ ძალიან მიყვარს საქართველოს თითოეული კუთხე, იმიტომ რომ მიმაჩნია მთელ ქართულ კულტურას რეგიონები ასაზრდოებენ. ჩემთვის თბილისი, ბათუმი, სენაკი, ქობულეთი...ერთია, ადამიანებს მე ვერ ვყოფ თბილისელად, ბათუმელად, სენაკელად... პირიქით, სენაკში ისეთი ხალხი, პროფესიონალთა გუნდი მყავს, რომ შეიძლება საქართველომ კი არა, მსოფლიომ დაიკვეხოს და დაიტრაბახოს. რეგიონებში ასეა ეს. მოკლედ ასე მოხდა ამ იდეის განხორციელება ქალბატონი რუსუდანის დამსახურებით.

ჩამოვედი სენაკში, ძალიან მომეწონა აქაურობა. განსაკუთრებით ბავშვების და პედაგოგების დამოკიდებულება მუსიკისადმი, სტუმარ-მასპინძლობა...და ა.შ. სპონტანურად გაგვიჩნდა აზრი ფესტივალის ჩატარების. ნელ-ნელა დავიწყეთ მზადება. გავიცანი ქალბატონი ირმა კუპრეიშვილი(მაშინ მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი), რომელიც დიდი ენთუზიაზმით ჩაგვერთო. პირველი ფესტივალი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის ეგიდით, რომელმაც არაჩვეულებრივად ჩაიარა, ამან განაპირობა ფესტივალის გაფართოების სურვილი. წლების მანძილზე ყველაფერი არაჩვეულებრივად მიმდინარეობდა, ყველა ფესტივალი იყო და არის ძალიან დახვეწილი და კარგი. ვთვლი, რომ ფესტივალი უნდა დარჩეს აღნიშნულ ფორმატში, არავითარი სურვილი არ მაქვს გავხადო ის რესპუბლიკური ან საერთაშორისო, რადგანაც კონცერტები, რომლებიც საღამოს თეატრში იმართება, ისედაც საერთაშორისოა, რადგანაც მასში ბევრი უცხოეთიდან მოწვეული ხელოვანი მონაწილეობს. რაც შეეხება კონკურსებს, ის როგორც არის - ბავშვების მოსმენას უნდა დაეთმოს.

10 წელი განვლილი გზის შესაჯამებლად სოლიდური პერიოდია, როგორ შეაფასებდით ფესტივალის მოღვაწეობის ამ მონაკვეთს?

ზოგადად არ მიყვარს სხვაზე საუბარი იმ კონტექსტში, რომ ცუდი პროფესიონალია ან ცუდად ასრულებს თავის სამუშაოს. მე ვაკეთებ ჩემს საქმეს. ვიცი ჩემი მინუსები და ძალიან კრიტიკულიც ვარ საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში არსებულ ბავშვთა ფესტივალებს შორის პირველ ადგილზე დგას სენაკის ფესტივალი. მსგავსი არ არსებობს. ეს არ არის მარტო ჩემი დამსახურება, ეს ქალბატონ რუსუდანის, მთელი სკოლის, მერიის, საკრებულოს... დამსახურებაა. კი შიგნით არის ხოლმე მომენტები, რომ ვიღაცამ რაღაცა თქვა და ა.შ. მაგრამ ეს პროცესის თანამდევია და ბუნებრივი. მსგავსი მარტო აქ არ ხდება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფესტივალში დიდი შრომაა ჩადებული, დიდი ძალისხმევა. ამიტომაც ასეთი ფესტივალი საქართველოს მეორე არა აქვს. ამაში თქვენც დამეთანხმებით და თუ ვინმეს არ სჯერა, უნდა მითხრას, რომელია მასზე უკეთესი.

ადრე, წლების წინ ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ: ფესტივალის ყოველი დღე ჩემთვის აღმოჩენა, მიღწევა და წარმატება იყო"- დღეს რას გვეტყვით ამ კუთხით?

თავიდან ალბათ ამ ფესტივალს უფრო ჩემად აღვიქვამდი, ეხლა კი ვთვლი, რომ ის საქართველოსია... გამომდინარე იქიდან, რომ ყოველწლიურად ემატება და ემატება ფესტივალს ბავშვები, ყოველწლიურად ჩამოდიან უფრო მეტი სკოლები, რეგიონები. უფრო მეტსაც გეტყვით, არის მუსიკალური სკოლები, სადაც მშობლებს შვილები შეჰყავთ იმისათვის, რომ შემდეგ წელს სენაკის ფესტივალზე მიაღებინონ მონაწილეობა და ეს არ არის ჩვენი მუსიკოსებისა და სენაკის სამუსიკო სკოლის დიდ წარმატება?

როგორ არ უნდა ვუმადლოდე ამისათვის ქალბატონ რუსუდან მილიუტინს, ვეფხვია ვეფხვაძეს, აი, მთელ ამ კოლექტივს. ფესტივალის წარმატება არ არის მარტო ჩემი დამსახურება. ჩემი სახელის გამო შეიძლება შვილი ერთხელ ჩამოიყვანონ ფესტივალზე, მაგრამ მეორედ, მესამედ უფრო მეტნი რომ მოდიან? ეს უკვე ამათი დამსახურებაა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ დაგხვდებიან მასპინძლები, რამდენად შეგიქმნიან კომფორტს, როგორ გაგაცილებენ... სწორედ აქედან ჩნდება სურვილი ისევ და ისევ ჩამოსვლის.. დამერწმუნეთ, მარტო ერთი ადამიანი ვერ აკეთებს ვერსად ვერაფერს.

თქვენი მიმართება მეგრულ-მუსიკალურ ფოლკლორთან

მე რომ მეგრული ,,ნანა" მესმის, ან ,,ვაგიორქო მა", არ ვიცი რატომ მომდის ცრემლები. ორ რაღაცაზე -მეგრულ ,,ნანასა", ,,ვაგიორქო მა-სა" და ,,ქუთაისო ჩემო, ჩემო დედულეთოზე" მემართება ასე. ეს უბრალოდ ხომ არ ხდება?

ჩემს წარმომავლობაში 8 სხვადასხვა ხაზი იკვეთება, რომელთა შორის მეგრული არ არის, რომელსაც ძალიან ვნანობ. მიმაჩნია, რომ ქართული მუსიკა იწყება მეგრული ,,ნანათი"

„კოლხეთი“ 100 წლის შესრულდა, რა შეგიძლიათ გვითხრათ მასზე?

არ არსებოს, რა არის მაინც სენაკი, სასნაულებს ახდენს. ქედს ვიხრი 100 წლის გაზეთს წინაშე. პირველ რიგში თქვენ გადაგიხდით მადლობას, რომ ასე უფრთხილდებით საუკუნოვან გაზეთს და იმათაც, ვინც ასი წლის მანძილზე ემსახურა მას. როდესაც ბეჭდური მედია ასი წლის ხდება,ს ეს არის ძალიან საპატივსაცემო. ვულოცავ თითოეულ თანამშრომელს საიუბილეო თარიღს და ვისურვებდი, რომ ჩვენი ფესტივალიც იყოს ასეთი სიცოცხლისუნარიანი და მისი 100 წელიც გვეზეიმოს.

ნინო სართანია

მუნიციპალიტეტის მერიაში
(გაგრძელება)

სამუშაო შეხვედრა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის დოკუმენტის განხილვა გაიმართა.

აღნიშნული დოკუმენტი, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი მიშელაძემ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, ნინო ვიბლიანმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) წარმომადგენლებმა, ზუგდიდში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს. შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ნანა ზარანდია დაესწრო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მომზადებული დოკუმენტის მიზანი, საძოვრებით მდგრადი სარგებლობისა და საძოვრების დაცვის ერთიანი, თანმიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბებაა, რამაც უნდა უზრუნველყოს საძოვრებზე მიწის დეგრადაციის პრევენცია და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. კონცეფცია წარმოადგენს საკანონმდებლო ინიციატივების საფუძველს, რომელიც დაარეგულირებს საძოვრების მართვის საკითხებს. შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, მოხდება საძოვრის სტატუსების კანონით განსაზღვრა; ასევე, სახელმწიფოსა და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საძოვრებით სარგებლობის რეჟიმების შემოღება, რაც გულისხმობს როგორც საერთო სარგებლობას, ასევე იჯარას. კონცეფციის თანახმად, მართვის მუნიციპალური გეგმების მიხედვით მოხდება საძოვრების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია, ზონირება და სარგებლობის რეჟიმების დადგენა. საძოვრების საერთო სარგებლობის სისტემა დაინერგება სასოფლო დასახლებების ახლომდებარე საძოვრებზე. შეიქმნება მოსარგებლეთა გაერთიანებები და მათ სარგებლობაში გადაეცემათ სოფლის საძოვრები. დანარჩენი საძოვრების გამოყენება შესაძლებელი იქნება იჯარით. „საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტი შემუშავდა პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში ჩამოყალიბებულ უწყებათშორის სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციით, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. პროექტის მხარდამჭერია გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF).

მიმდინარე სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი დასრულებულია. ქალაქად და სოფლად, დარჩენილი ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მიმდინარეობს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიგა წურწუმიასთან ერთად, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს სტიქიის შემდეგ ობიექტებზე გაეცნო: მშვიდობის ქუჩაზე (ნატოჩაოს უბანი) - კიუვეტის და ღელეზე ჯებირების რეაბილიტაცია - ღირებულებით, 88 288 ლარი; მშვიდობის ქუჩის N56 და N58 საცხოვრებელ სახლებს შორის არსებულ ღელეზე ჯებირების რეაბილიტაცია - ღირებულებით, 450 945 ლარი.

მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციის პრემიერა

დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სცენაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხელოვნების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციის - ,,ორნი აქა იქ" პრემიერა გაიმართა.

კომპოზიციის ინსცენირება და რეჟისურა ეკუთვნის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის გენერალურ მენეჯერს და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა სახელმწიფო თეატრის მსახიობს, ბექა ჯუმუტიას;

მუსიკალური ხელმძღვანელი და გუნდის დირიჟორი - საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ხელმძღვანელი, თბილისის სამუსიკო სასწავლებლის ,,ნიჭიერთა ათწლედის" გუნდის ხელმძღვანელი, თბილისის ახალგაზრდული კაპელის დირიჟორი, შიო აბრახამია;

ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებული გუნდის ხელმძღვანელი, გულნაზი ქაჯაია; კონცერტმაისტერი, რუსუდან მილიუტინი;

მონაწილეობდნენ სენაკელი მოსწავლეები: უშანგი ჩიქობავა, ცოტნე კაცია, ლიზი დანელია, ანი ჩოჩია, მონიკა აბშილავა,ნინო ადამია,ნინო ფიჩხაია და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის აკადემიური გუნდი.

პრემიერას ესწრებოდნენ: მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ვახტანგ ნიკოლავა, ხელოვნების ცენტრის დირექტორი ვეფხვია ვეფხვაძე, ადგილობრივი თვითმართველობის, თეატრალური სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის ეს პროექტი პირველად ხორციელდება და მიზანად ისახავს ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ სამუსიკო სკოლის საბავშვო გუნდის საშემსრულებლო დონის ამაღლებას, სამხატვრო-თეატრალური პროექტებისთვის ტრენინგების /მასტერკლასების ჩატარებას, კონკრეტული ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიციის პრეზენტირებას, სადაც წარმოჩინდება გუნდის მომღერალთა ვოკალურ-არტიკულაციური, სამეტყველო და სასიმღერო სპეციფიკის მიღწევები. პროექტის მეორე ეტაპის განხორციელება 2023 წლის მიწურულს არის დაგეგმილი.

,,HELLADOS - გაკვეთილის“ პრემიერა

დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სცენაზე, აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის თეატრალური დრამატული ხელოვნების სკოლა-სტუდიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სპექტაკლის - ,, HELLADOS - გაკვეთილი“ პრემიერა შედგა. სპექტაკლში ასევე მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა. ,,HELLADOS" მწერალ ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი მოთხრობაა, რომელიც ბერძენი და ქართველი ბიჭების განცდებზე, სამშობლოს, მეგობრის სიყვარულსა და მათ ტრაგიკულ ხვედრზე გვიამბობს; კიდევ ერთხელ გვაფიქრებს იმ მარადიულ ღირებულებებსა და პრობლემებზე, რასაც ქართველი მწერალი თავის შემოქმედებაში ეხმიანება. ,,HELLADOS - გაკვეთილი“ თეატრალური დრამატული ხელოვნების სკოლა-სტუდიის ხელმძღვანელის, აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ, ვახტანგ ნიკოლავას საინტერესო, ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩეოდა. სკოლა-სტუდიის სამსახიობო ოსტატობის პედაგოგი გახლავთ, მსახიობი, სოფი ჩალაშვილი; სასცენო მეტყველების პედაგოგი კი - მსახიობი, თამუნა აბშილავა-კობახიძე. პრემიერას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. ეს იყო აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის თეატრალური დრამატული ხელოვნების სკოლა-სტუდიის პირველი ერთობლივი ნამუშევარი, სადაც ახალბედა მსახიობებმა დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი სახეები შექმნეს.

მასშტაბური სამუშაოები დასრულდა

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის ფარგლებში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში, 2 კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგო ორფენიანი ასფალტო-ბეტონის გზის საფარი. ჭყონდიდელის ქუჩიდან გაზის ყოფილ ტრესტამდე, ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 244 824 ლარს შეადგენს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარესთან, გიგა წურწუმიასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად, სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში</u>
<u>(დასასრული)</u>

,,ხელოვნების საკვირაო სკოლის“ ფარგლებში

პროექტის - ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა" ფარგლებში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, სახვითი (სივრცითი) და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, შეხვედრა ,,მომავლის არქიტექტორები 2023" გაიმართა. მოეწყო პროექტში ჩართული სენაკელი ახალგაზრდების ნამუშევრების გამოფენა; წარმოდგენილ იქნა ნახაზები, ნახაზების აპლიკაციები, შეუღლების ამოცანები, ნახატები - შავ-თეთრ გრაფიკაში და არქიტექტურული მაკეტები. პროექტს, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრში, ხელოვნების პედაგოგი, მამუკა კუჭავა ხელმძღვანელობს. შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსი, დარეჯან ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. პროექტი, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით ხორციელდება, მიზნად ისახავს სახელოვნებო განათლებისა და ხელოვნების დარგების პოპულარიზაციას, ნიჭიერი თაობის გამოვლენასა და მხარდაჭერას.

საქართველოს 30-ე ტურნირი

სენაკის სპორტის სასახლეში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, გაიმართა საქართველოს 30-ე ჩემპიონატი კიკბოქსინგში. ჩემპიონატი, რომელიც საზეიმოდ 3 ივნისს გაიხსნა, საქართველოს ტაიბოქსის და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის, მსოფლიო ჩემპიონის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ფედერაციის პრეზიდენტის, ჩვენი თანაქალაქელის, გოჩა ჯავახიას ორგანიზებით ჩატარდა. ჩემპიონატში მონაწილეობა საქართველოს 14 მუნიციპალიტეტის 150-მდე სპორტსმენმა მიიღო. ჩემპიონატს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი, საქართველოს ტაიბოქსის და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები და გულშემატკივრები დაესწრნენ. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებულ სპორტსმენებს, სიგელები, მედლები და თასები გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

იუბილარ გაზეთს

დაარსებიდან დღემდე ვინ იცის რამდენი დაბრკოლება გამოგივლია, ქვეყანაში მიმდინარე კატაკლიზმების, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების, მიმდინარე პროცესების ყურის მგდებელი ხარ. ამ ასი წლის მანძილზე ბევრის მნახველი ხარ და მომსწრე.

წლებია შენი აქტიური მკითხველი ვარ, მოუთმენლად ველოდები შენს ახალ ნომრებს. სამწუხაროა სტამბა განუკითხაობის დროს რომ დაგეწვა და დღემდე აღდგენილი არ არის.

იუბილარო, საყვარელო ,,კოლხეთო", ხალხის კეთილდღეობისათვის ერთგული მაცნე ხარ, გილოცავ 100 წლის იუბილეს, გისურვებ შენი მომავალი ისტორია უფრო და უფრო კაშკაშა იყოს.

თქვენი მოყვარული
სოსო ჯღამაძე

<u>რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე</u>

მომეცი ნება მიყვარდე ისე, როგორც უყვარდი მამულო ცოტნეს

გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, ერის მოსიყვარულისა და შესანატრი პროფესიონალის, ბატონ დემურ გადელიას რეგალიების ჩამოთვლაც ცხადყოფს ამ ღვაწლმოსილი ხელმძღვანელის პიროვნულ ღირსებებს.

სს. „არქეოპოლისის“ დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, ორგზის „ღირსების ორდენის“ კავალერი, წმინდა ნიკოლოზის ორდენის მფლობელი, „საქართველოს დამსახურებული მეგზევე“, სენაკისა და ზუგდიდის საპატიო მოქალაქე.

ყველაფერია თითქოს ნათქვამი. რა შეიძლება დაამატო? თუმცაღა ჩემი განცდა და ფიქრი, მრავალი წლის მანძილზე მიღებული ემოციები მინდა გაგიზიაროთ.

დემურ გადელია იშვიათი თვისებებითაა შემკული, რომლის სულის სიმშვენიერე მისი გულის სარკმელში ჩანს.

თითქოს მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა ფერადი სურათებია, რომელიც აირეკლავს და წარმოაჩენს პიროვნებას.

როცა სურათს ხატავ და ქმნი, მუდამ მთავარია ფერები და გრძნობები. ნახატის ფერები აღსაქმელად, როცა მახლობელია, ეს მუდამ აღგაფრთოვანებს. შეუძლებელია დემურ გადელიას პიროვნებამ არ მოგხიბლოს და აღგაფრთოვანოს.

ვერ ვიტყვი, რომ ადამიანებს (თავის მუშებსა და მოსამსახურეებს) ასწავლის შრომას, ქცევას და ტრადიციებისადმი პატივისცემას. არა, მაგრამ პირადი მაგალითით აძლიერებს შრომის კულტურას, ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს. უმძაფრებს სიყვარულსა და პატივისცემას კოლექტივისა და ოჯახის მიმართ.

არ უყვარს ფლიდი და ლაქუცა ადამიანები. მის გვერდით არ არის ადგილი უპასუხისმგებლო პირთათვის. ის რეალისტია, პრინციპული და მიზანმიმართული. გამოცდილების ულევი მარაგით. მდგომარეობის შეფასების უზადო ნიჭითა და ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულებით.

ოთახში მარტოდ შთენილი სანთელი შეიძლება უაზროდ ენთოს და ბოლომდე ჩაიწვას. ბატონი დემური თავისი მრავალმხრივი ნიჭიერებით ამტკიცებს, რომ უაზროდ ვერ დაიწვება, მისი სიცოცხლის ლამპარი, ნათელი გონება სასარგებლო საქმეებისკენაა მიმართული.

არა მხოლოდ სამეგრელოში, სადაც ცხოვრობს ბატონი დემური, არამედ დასავლეთ საქათველოშიც აგებს მშვენიერ გზებს, აშენებს და ქმნის ისეთ ინფრასტრუქტურას, რომელიც აუცილებელია ყოფითი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მოსახლეობას უადვილებს მიმოსვლასა და საქმიანობას. ეხმარება უპოვართ, ავადმყოფ ბავშვებსა და მოქალაქეებს, აშენებს და არემონტებს სალოცავებს, ეწევა სხვა სახის ქველმოქმედებებს. არასდროს ითხოვს ყოველივე ამის აფიშირებას.

ეს მისი ცხოვრების წესია, რომელიც მახედებს ამ უიშვიათესი ადამიანის სულიერ სამყაროში, მარწმუნებს, რომ მისებრ გამორჩეული თვისებებით სამწუხაროდ ბევრი არ არის დაჯილდოვებული.

ბედნიერებაა გქონდეს სიცოცხლის და შრომის ისეთი უნარი, რომ აჯობო საკუთარ თავს, საკუთარ შესაძლებლობებს. ამის უნარი და შესაძლებლობა ოთხმოცი წლის ასაკშიც მაგიურად მოზღვავებულა მასში. არასდროს აკეთებს საქმეს ფაცი- ფუცით, მაგრამ ასჯერ გაზომავს და ერთხელ ჭრის. ამიტომ უზადოა მისი მიერ შესრულებული სამუშაოები, რომელიც მოფენილია დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში სვანეთის ჩათვლით.

არ შეიძლება ადამიანი კეთილი და უხვი იყოს სხვებისთვის და ამავდროულად სიმხნევე და სიმამაცე არ ახასიათებდეს. სიკეთის ქმნა უკვე სიმამაცეა, ხოლო ნებისმიერი ქმედება თუ კი იგი სიკეთეს არ ემსახურება მხოლოდ შიშველი ინსტიქტი.

მისი შინაგანი სამყაროს მუდმივი თანმდევი გახლავთ: სამშობლო, ღმერთი და ადამიანი.

წლების რბოლამ მძიმე უღელი დააკისრა. არა ერთი ზეწოლის, დაუმსახურებლად შეურაცხოფის მიუხედავად, დასძლია სირთულეები, მერე ,კავკასიონს მიჯაჭვული გმირივით „აიწყვიტა“ და უფრო მედგრად ჩააყენა საკუთარი საწარმო „არქეოპოლისი“ საზოგადოების სამსახურში. გონებრივი და ინტელექტუალური თაოსნობები ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც მიიტანა. იქაც საკუთარი რეგიონის ღირსეული წარმომადგენელი იყო.

ბევრი ამბობს, სახელმწიფოს გადასახადი გადავუხადე და დანარჩენი მისი საქმეაო. ჩვენი მთავრობა ადამიანების საკეთილდღეოდ დღეს მაქსიმუმს აკეთებს. ეს კი მისასალმებელია. მხოლოდ მარტოოდენ გადასახადის გადახდას კეთილ, ღვთიურ საქმის კეთებასთან არაფერი აკავშირებს.

ეს ჭეშმარიტება კარგად აქვს გათავისებული ბატონ დემურ გადელიას. ამიტომაც არის ის გამორჩეული.

ღმერთმა გვიბოძა ეს ქვეყანა და გვითხრა: ააღორძინეთ, გამრავლდით, აშენდითო. უღმერთოს კეთილი საქმე არ გამოუვა. ბატონი დემური ცდილობს ღვთისნიერად იღვაწოს. იცის, სულის სიფაქიზის, სიყვარულისა და გონივრული გარჯის გარეშე ქვეყანა და ხალხი ვერ გაიხარებს. ეროვნული ბარაქა ვერ დახვავდება.

როცა ხელდაკაპიწებული გარჯაა საჭირო, ოთახში ვერ ჩაიკეტება და ჩუმად ვერ იქნება გარინდული. დილის ექვს საათზე დგება და გვიან ღამემდე შრომობს. ამიტომ გაბედულად პოულობს ბილიკებს წარმატებისაკენ.

ვის შევადარო, ვის გაუტოლო?

წარსულის წიაღსვლებით, ლამაზ ფერებში მაგონდება ჩვენი ბეჭდაუდებელი მოჭიდავე, ნესტორ ესებუა. ამ სენაკელმა გოლიათმა ტოლი არ დაუდო არავის. მუდამ გამარჯვებას ზეიმობდა შინაც, საზღვარგარეთაც. ბატონი დემურ გადელია ასევე გამარჯვებისთვისაა დაბადებული. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფრონტზე, სადაც იღწვის პირწმინდად იგებს. ეს მან საინჟინრო-სამშენებლო თუ საპარლამენტო მოღვაწეობისას დაამტკიცა.

ცალკე და გამორჩეულად შეფასების ღირსია მეცნიერ დემურ გადელიას ეკონომიკური წინადადებები და ხედვა სამეგრელოს აღორძინებისათვის, რომელიც რამდენიმე წიგნად გამოიცა. ცნობილია, რომ საკუთარი პროექტი წინადადებების სახით შესთავაზა ხელისუფლებას. ეს ნაშრომები გახლავთ დახვეწილი მეცნიერული ხედვის მქონე ავტორის ნაღვაწი, საქმეში გამობრძმედილი მკვლევარის ნაშრომი.

განმარტებას არ საჭიროებს, რომ მოღვაწე, რომელიც რეალობას საღად აღიქვამს, დროის შესაბამისად მოქმედებს, ირგვლივ მყოფთათვის სასარგებლოა, ის ჭეშმარიტი ერისკაცია. მისი კეთილად მომზირალი თვალები და მგრძნობიარე გული კაშკაშა ფერებითაა სავსე. ამგვარ პიროვნებას არ შეუძლია თავი მოიტყუოს, რომ ირგვლივ ყველაფერი კარგადაა, არავის უჭირს და ტკივა. კარგად, ძალიან კარგად იცის ცხოვრება ბრძოლაა წუთისოფელთან, რომ როცა განსაცდელშია ადამიანი, ვიმეორებ დემურ გადელია ბევრს გვერდით უდგას. მშველელია, ხელშემწყობია. მისთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.

აქ ღირსეული პოეტის, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიის ლაურიატის გენო კალანდიას ლექსის სტრიქონები მახსენდება:

„წავალ, დავდგები ფაზის ხიდზე, რომ ჩემი სისხლი წვეთი-წვეთ მოგცე, მომეცი ნება მიყვარდე ისე, როგორც უყვარდი მამულო ცოტნეს...“

ბატონ დემურ გადელია უკვე დგას ფაზისის ხიდზე. ნათელი და შინაარსიანი მოღვაწეობით ულევ სიყვარულს უძღვნის საქართველოსა და თანაქალაელებს. მისი საქმიანობაში, მის ქცევაში სჩანს, რას ნიშნავს რწმენა, ღირსება, თავგანწირვა და პასუხისმგებლობა. მან გაითავისა უმთავრესი, თუ როგორ უნდა მიხვიდე ღმერთთან, რისთვის ღირს სიცოცხლე, რისთვის ღირს სიკვდილი. როგორ მოექცე მშობლების ხსოვნას. როგორ გამოავლინო შვილისა და შვილიშვილების სიყვარული. როგორ გამოხატო შენი მიწის ტრფიალი.

იცის, რომ ბრძოლას მუდამ აქვს აზრი. 27 მაისი ბატონ დემურ გადელიას დაბადების დღეა. ვუსურვებ მას მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს, ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ბორის დავითაია,
სენაკის საპატიო მოქალაქე-
რამდენიმე ლიტერატურული
პრემიის ლაურეატი,
ღირსების ორდენოსანი

საქართველოს რესპუბლიკა
59-60. ხუთშაბათი-კვირა,
25 მაისი, 2023 წელი

უნიკალური "ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია"

დღეს გაზეთ "კოლხეთის" სტუმარი გახლავთ, ჩვენი ქალაქის მკვიდრი და სენაკის საპატიო მოქალაქე, გაერთიანებული სამეფოს ორგზის ოქროსორდენოსანი, საუკეთესო ხარისხის მქონე გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი ქალბატონო ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი.

ქალბატონო ლიანა, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ ხართ "ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის" იდეის ავტორი. ხომ არ გვიამბობდით თუ როგორ გაჩნდა ეს იდეა.

უპირველეს ყოვლისა, მსურს გულმხურვალედ მივესალმო ჩვენი საყვარელი გაზეთ "კოლხეთის" მკითხველებს და მივულოცო მათ გაზეთის იუბილე და ვუსურვო, როგორც "კოლხეთის" მესვეურთ, ასევე გაზეთის ერთგულ მკითხველებს წინსვლა და წარმატებები.

რაც შეეხება ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის იდეას, ის დიდიხნის წინ გაჩნდა, როდესაც მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ მოზარდები საქართველოს ისტორიაზე მიწოდებულ ინფორმაციას ეჭვისთვალით ხვდებოდნენ, ვინაიდან საზღვარგარეთ დაბადებულ მოზარდებს არ გააჩნდათ არავითარი მტკიცებულებები არსებულ ფაქტთან დაკავშირებით და ვერც ოჯახი ვერ ეხმარებოდა მათ, ვინაიდან ქართულ ისტორიულ-კულტურულ მეკვიდრეობაზე სახელმძღვანელო არ არსებობდა და არ არსებობს დღემდე.

აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე შემექმნა პროფესიონალთა და მეცნიერთა ჯგუფი, რომლის მიზანიც იქნებოდა:

ერთისმხრივ, გაეცნოთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდებისათვის სამშობლო-საქართველოს რეალური ისტორია და მეორეს მხრივ, საზღვარგარეთ მყოფ ახალგაზრდებისთვის მიგვეცა ისეთი ცოდნის საფუძველი, რომ მათ შესძლებოდათ დამოუკიდებლად მოეძიათ, შეესწავლათ, როგორც ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, ასევე, საზოგადო ქსელშიც არსებულ ფაქტებზე მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა აზრი, შეესწავლათ, გაევლოთ პარალელი მიღებულ ინფორმაციების მეშვეობით და განევრცოთ.

ამ საკითხებზე დავიწყე მსჯელობა ჩვენი ქალაქის მკვიდრ, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგთან, ქალბატონ ლუარა ჯიქიასთან, რომელმაც დიდი ენთუზიაზმით მიიღო ეს აზრი და განავრცო კიდეც, როგორც ნიჭიერმა და გამოცდილმა ფილოლოგმა და პედაგოგმა და ჩვენ გადავწყვიტეთ პროფესიული რჩევა გვეკითხა, ქალბატონი ეკა კარტოზიასათვის, რომელიც თბილისის სამეცნიერო საზოგადოება "პრომეთეოსის" ისტორია-არქეოლოგიის მიმართულების კოორდინატორი გახლდათ.

ქალბატონმა ეკამ მოიწონა და სიხარულით შეხვდა ამ იდეას და თავის მხრივ დაამატა და განავრცო ჩვენი სამომავლო პროექტი.

დავიწყეთ პროექტის იდეის გავრცობა, დავსახეთ სტრატეგიული გეგმა, სამომავლი მრავალწლიანი ხედვიდან გამომდინარე შემუშავდა კონფერენციის თემატიკა, დაიგეგმა ეროვნულ-კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნები, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრებ, ასევე საქართველოში მცხოვრებ მოზარდთათვის. შევქმენით კონფერენციის საორგანიზაციო სამუშაო გუნდი და დავიწყეთ პროფესორ მეცნიერთა დაინტერესებამოზიდვა. მათ სასიქადულოდ უნდა ითქვას, საქართველოს მეცნიერები შინ და გარეთ ერთსულოვნად და უსასყიდლოდ ჩაუდგნენ ამ ეროვნულ საქმეს და წლების მანძილზე განაგრძობდნენ ქართულ დიასპორასთან თანამშრომლობას პროფესიონალურად მაღალ დონეზე.

ქალბატონო ლიანა, თქვენ უკვე ლონდონის საერთაშორისო კონფერენციის ბოლო ეტაპზე ხართ. წარმოუდგენლად შრომატევადი სამეცნიერო გზის გავლით უახლოვდებით ფინალს. თუ შეიძლება გაგვიზიაროთ, თუ ვინ არიან კონფერენციის დელეგატები და რამდენი ქართველი ახალგაზრდაა ამ პროექტით გაერთიანებული?

უაღრესად საინტერესო კითხვაა და სიამოვნებით გაგიზიარებთ ჩვენი სასახელო დელეგატების შესახებ ინფორმაციას.

ჩვენი კონფერენცია (2020-2023) ითვლის 240-მდე დელეგატს მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის სხვადა სხვა სახელმწიფოებიდან, ჩართულია რამოდენიმე ქალაქიც, როგორიცაა: ამერიკა: ნიუ იორკი, იტალია: მილანი, ვენეცია, გერმანია: ჰანოვერი, ბერლინი, საბერძნეთი: სტავრო, ირლანდია: დუბლინი, ნიდერლანდები: ამსტერდამი, ესპანეთი: ვალენსია, რუსეთი: მოსკოვი, ინგლისი: ლონდონი, კენტი, საქართველო: თბილისიდან 2 ორგანიზაცია, რუსთავი-2, ბოლნისი, ქუთაისი-3, სენაკი-3, ბათუმი.

მსოფლიოს მასშტაბით, ამ კონფერენციის მონაპოვარია: 240 დელეგატი, 69 მეცნიერ-პროფესორის თანამშრომლობა,

კონფერენციის საფუძველზე შეიქმნა დოკუმენტური ფილმები,შვილობილი პროექტები: "ფესვები" და "მამულიშვილი", რომლის აქტიური მონაწილენიც იყვნენ ჩვენი დელეგატები, აღმოცენდა და შეიქმნა ახალი სამეცნიერო ჯგუფების თანამშრომლობა და მრავალი სხვა.

ქალბატონო ლიანა, გვაინტერესებს თქვენი გუნდის აზრი, თუ რამდენად გამართლა ამ კონფერენციამ თქვენ მიერ დასახული მიზნები.

ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის ეროვნულ-კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნები ემსახურებოდა:

ქართული დიასპორის-საზღვარგარეთ მცხოვრებ და საქართველოს მოზარდებში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაკარგული მახსოვრობის აღდგენას;

მშობლიური სამშობლო-საქართველოს ისტორიის შემეცნებას;

ქართული დიასპორისა და მეცნიერთა, თაობათა შორის მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობის დამყარებას;

გამოჩენილ მეცნიერთა კვლევების პოპულარიზაციას მსოფლიოში.

ჩვენი დელეგატები საოცარი ეროვნული სულისკვეთებით ჩაებნენ კონფერენციებში და მიღებული ცოდნის გავრცობა-გაზიარება დაიწყეს მასპინძელი ქვეყნების სკოლებში, თანატოლებთან, გააკეთეს პრეზენტაციები ჩატარებული კონფერენციის თემებზე, დააინტერესეს თანატოლები თავიანთი პრეზენტაციებით და როდესაც მათთმა თანატოლებმა მოიძიეს და იპოვეს ინტერნეტ-სივრცეში ინფირმაციები საქართველოს უძველეს ცივილიზაციაზე და აღიარეს მათი სამშობლოს როლი კაცობრიობის განვითარებაში, ეს იყო უდიდესი გამარჯვება, როდესაც საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველმა მოზარდებმა სიამაყით დაიწყეს სამშობლოს ისტორიის ფაქტების გავრცობა.

მიზანი, თუნდაც ამ საწყისს ეტაპზე მიღწეულად მიგვაჩნია, თუმცა ჩვენი ახალგაზრდები დღითიდღე იცვლებიან და ცოდნასთან ერთად თვითრწმენა და სამშობლოსადმი სიყვარული და პატივისცემა იზრდება.

მოსალოცი და მისასალმებელია ასეთ წარმატებული სამამულიშვილო საქმე. ქალბატონო ლიანა, აი, თქვენი უნიკალური კონფერენცია დასასრულს უახლოვდება საინტერესოა რა გაქვთ დაგეგმილი სამომავლოდ.

როგორც ყოველ წარმატებულ საქმეს, ამ ჩვენს წამოწყებასაც ძალიან საინტერესო დასასრული-საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალით ვამთავრებთ.

ალბათ ძალიან ძნელი იყო თქვენი საორგანიზაციო საბჭოსთვის დაჯილდოების ცერემონიალისთვის ადგილის შერჩევა. თუ შესაძლებელია გაგვაცანით თქვენი გეგმები.

მე პირადად დიდად ბედნიერი ვარ, ვინაიდან ეს სასიხარულო ინფორმაცია პირველად ჩვენი გაზეთი "კოლხეთის" გვერდზე გაზიარდება.

დიახ, არც ისე ადვილი იყო საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალის დაგეგმვა. მას ახლავს მრავალი ფაქტორები, რომლის გადაჭრა ერთდროულად შეუძლებელია, მაგრამ დაჯილდოებისთვის ადგილის შერჩევა ადვილი იყო. ვინაიდან კონფერენციის დაგეგმვის პროცესშივე იყო გათვალისწინებული, რომ კონფერენციის ფინალის ბოლოს დაჯილდოება თბილსში ჩატარდებოდა.

ჩვენი საწყისი გეგმის მიხედვით ვემზადებოდით დაჯილდოების ცერემონიალისთვის, როდესაც საქართველოს მთავრობის მხრიდან გამოჩნდა დაინტერესება და შემოთავაზებაც.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დიასპორის დეპარტამენტთან ერთად აღმოჩნდნენ საზეიმო დაჯილდოების სამდღიანი პროექტის თანამდგომები და აღგვითქვეს დახმარება: ორდღიანი ექსკურსია კონფერენციის დელეგატთათვის, საზეიმო დაჯილდოების დარბაზი, სიგელები, დიპლომები, მედლები და სახელმწიფოს კუთხით მთავრობის ჩართულობა აღგვითქვეს.

საქართველოს თვითეული წევრისთვის ფასდაუდებელია ის ფაქტი რომ მიელიან სამშობლოში და თუ კი მათ სიხარულით და ზეიმით ხვდებიან მით უფრო სასიამოვნო და დაუვიწყარი იქნება.

მადლობა საქართველოს მთავრობას მზაობისა და თანადგომისათბის, მზრუნველობისა და სითბოსათვის.

ქალბატონო ლია, თქვენ ახსენეთ სიგელები, დიპლომები, მედლები. თვითეული ზემო ჩამოთვლილიდან ვისთვისაა გამიზნული და რასთან დაკავშირებით ხდება ეს დაჯილდოება, ხომ არ აუხსნიდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

როგორც მოგახსენეთ კონფერენციის დასრულება დაგეგმილია 2023 წლის მაის-ივნისში. დაჯილდოების ცერემონიალი შედგება სამღიანი ღონისძიებისაგან, პირველი და ორი აგვისტო დაეთმობა ესკურსიებს, რომლებიც სალექციო მასალებით და დოკუმენტური ფილმებით ნანახ განხილული მუზეუმების და არქეოლოგიური ადგილების ნახვას და გაცნობას მოიცავს.

დელეგატებისათვის დაწესებულია დაჯილდოების შემდეგი საფეხურები-კონფერენციის დელეგატების წოდება:უმაღლესი ჯილდო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩი, აიელ რაინდი, მაღალი წოდების ჯილდო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩი და ა.შ.

ვაზუსტებთ ჩამომსვლელ დელეგატთა რაოდენობას, მაგალითად აშშ წარმოადგენს მინიმუმ 16 დელეგატს, ინგლისი 16 დელეგატს და ა.შ.

ჯილდო იქნება 9 სმ დიამეტრის სპილენძ-ბრინჯაოს წრიული დისკი ან მაერთკუთხა სახის. სპილენძის დისკის ერთ მხარეს განლაგდება ათივე კონფერენციისათვის დამახასიათებელი ბარელიეფი.

მედალზე იქნება ,,ლონდონის საერთაშორისო -სამეცნიერო კონფერენციის ლოგო და წარწერა, მეორე მხარეს იქნება საქართველოს გერბი.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებენ დელეგატებთან ერთად სკოლის დირეტორი და პედაგოგი, რომელიც კონფერენციის დელეგატებს ამზადებს.

მარიკა მიქაბერიძე

P.S. ქალბატონი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის საქმიანობა იმდენად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რომ გვიკვირს, ერთი ქალბატონი ამდენს როგორ ასწრებს და ახერხებს. მაგრამ იმდენად მობილიზებულია, რომ ეტყობა ძილშიც კი მამულზე ფიქრობს, რაც აძლიერებს, აძლებინებს, აკეთებინებს საშვილიშვილო საქმეებს- მადლით, სიკეთით, სათნოებით დაღდასმულს და სამშობლოსგან შორს, იქ უცხოეთში სანთელვით ანთია, რომ რაც შეიძლება ბევრს გაუკვალოს, გაუნათოს გზა. ეს ნათელი კი ერთნაირად სწვდება იქაურსაც თუ აქაურსაც.

ქალბატონო ლიანა, გვეამაყებით, გვიხარია, რომ სენაკელი ხართ და ,,კოლხეთის" თანამეინახე.

,,კოლხეთი"

18 მაისი - მუზეუმთა საერთაშორისო დღე

მუზეუმი ერთ-ერთი მტკიცე ბოძია, რომელზედაც დგას ქვეყნის სულიერება. საზოგადოების განვითარებაში მისი როლის გაცნობიერების მიზნით, მუზეუმების საბჭომ 1977 წელს დააფუძნა მუზეუმების

საერთაშორისო დღე -18 მაისი, რომელსაც წლებია მოკრძალებით ეხმიანება სენაკის მუნიციპალიტეტში მოქმედი მუზეუმებიც.

მიმდინარე ეტაპისათვის, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გეგმით გავითვალისწინეთ ფონდში არსებული მასალიდან მსოფლიოს ცნობადი მხატვრების ნამუშევართა რეპროდუქციებისა



და მუზეუმების ფოტოების გამოფენის მოწყობა. კერძოდ, სამუზეუმო სივრცეში გამოფენაზე წარმოდგენილი გვქონდა პინტურიკიოს, კარავაჯოს, რემბრანტის, დიურერის, ვან დეიკის, რენუარისა და სხვათა ნამუშევრები, ასევე ვერსალისა და ლუვრის(საფრანგეთი), გუგენჰაიმის, სალვადორ დალის, თეატრ-მუზეუმის(ესპანეთი), ონტარიოს სამეფო მუზეუმის-(კანადა) და სხვა მუზეუმების ფოტოები.

გამოფენას პირველები სტუმრობდნენ ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის მეოთხეკლასელები, კლასის დამრიგებლის ლელა კოხიას ხელმძღვანელობით. ასევე იყვნენ პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი ირმა ჭითანავა და მისი მერვეკლასელი მოსწავლეები, მესამე საჯარო სკოლის მეექვსეკლასელები, პედაგოგ მედეა ბაღუშვილთან ერთად, მეშვიდე საჯარო სკოლის მეოთხეკლასელები და მათი კლასის დამრიგებელი დოდო ჭანტურია და სხვები.

სტუმრებმა გაზაფხულის ყვავილებით მიულოცეს მუზეუმის თანამშრომლებს პროფესიული დღე. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

თანამშრომლებმა კი მათ გააცნეს გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები.

განსაკუთრებული სიყვარულითა და გულისხმიერებით იყო გაჯერებული ქალაქის საჯარო სკოლების ხელმძღვანელებისა და საჯარო ბიბლიოთეკის მესვეურთა მილოცვები.

პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით, დედაქალაქიდანაც არ დააყოვნა ჟიული შარტავას დის, ქალბატონ ცისანას მილოცვამაც ,,... მინდა გადმოგცეთ კეთილი განწყობა, დიდი სიყვარული... გისურვოთ მომავალი წარმატებები..." სითბოთი იყო გამსჭვალული ქალაქის ცენტრში არსებული ჟიული შარტავას ბიუსტის ავტორის, ბატონ გიორგი შხვაცბაიას სატელეფონო სიტყვებიც.

დღის დასასრულს, მუზეუმს სტუმრობდნენ მოსწავლე -ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი, ბატონი ბადრი ქუთელია, მოადგილე ქალბატონი ნათია ეჯიბია და სპეციალისტი -თეა გარუჩავა.

პროფესიულ დღესასწაულთან დაკავშირებით, მუზეუმის თანამშრომელთა მისამართით კეთილი განწყობა გამოხატა ბაჩო ქუთელიამ: ,,თქვენ თავდადებითა და დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებით დამთვალიერებელთ... იმედი მაქვს მომავალშიც ასე გაგრძელდება..."

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის მუზეუმის თანამშრომლებს გადაეცათ მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

სამუშაო დღის ბოლოს, მუზეუმის თანამშრომლებმა ყვავილებით შეამკეს ქალაქის ცენტრში, ჟიული შარტავას ბიუსტი, რომლის გახსნაც მოეწყო 26 წლის წინ, სწორედ 18 მაისს.

თავისი შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე პროფესიული დღის მოკრძალებული აღნიშვნა ლამაზ ფურცლად ჩაიწერა მუზეუმის თანამშრომელთა ცხოვრებაში.

მარინე აბრამია,
სენაკის ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტი

სიკეთე გადამდებია

სენაკის ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ-საგანამანათლებლო დაწესებულებებს, სპორტისა და ტურიზმის მუშაკებს ნამდვილად გაუმართლათ, რადგან მათ პროფესიულ კავშირს ჰყავს ისეთი თავმჯდომარე, როგორიც ინეზა ღვინჯილიაა. მას მთელ ქალაქში იცნობენ, როგორც კეთილშობილ, სათნო, ჭირსა და ლხინში გვერდით უანგაროდ მდგომ ადამიანს. სხვებისთვის დახმარების გაწევა მისთვის ცხოვრების წესია. ის დღენიადაგ ფიქრობს ვისთვის რისი გაკეთება შეუძლია.... ამიტომაც არავის გაჰკვირვებია ქალბატონ ინეზას კიდევ ერთი ინიციატივა დახმარებოდა ხელმოკლე ოჯახებს. წინა საახალწლოდ, მაშინ როდესაც ყველა საკუთარი ოჯხების სადღესასწაულო განწყობაზე ფიქრობს, ქალბატონ ინეზას მოსვენება დაუკარგა სოციალურად შეჭირვებული ოჯახებზე ფიქრმა. ამიტომაც მთელი გულით და შესაძლებლობით შეუდგა საახალწლო ნობათების მომზადებას კულტურის სფეროში დასაქმებული სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. ეს იყო მოულოდნელი სიკეთის გამოსხივება ამ ყოფაში და მადლობის სიტყვებს ვერ პოულობდნენ მისი ბენეფიციარები.

ახალ წელს ფეხბედნიერად შემოყვა ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული. ქალბატონი ინეზა კვლავ გაბრწყინებული თვალებით შეუდგა სიკეთის უანგარო გაცემას. სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებს კვლავ შეეხიდა საადგომო სუფრის მოწყობაში. სიკეთე ერთი დღით არ მოდის და არც ერთ დღეში იკარგება. ქალბატონმა ინეზამ კულტურის სამსახურში იპოვა თანამოაზრეები და დაიწყო ახალი აქცია სახელწოდებით „სათნოების კალათა“, შექმნა საინიციატივო ჯგუფი და საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ- საგანამანათლებლო დაწესებულების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიულ კავშირს გააცნო ამ ჯგუფის ინიციატივის შესახებ. აქციას პირველი კულტურის პალატისა და საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ- საგანამანათ-

ლებლო დაწესებულებების სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი გამოეხმაურა, ამ დიდებული ადამიანის კეთილი ნებით, ინგლისელი და ქართველი თანატოლების ზრუნვითა და სიყვარულით სავსე ნობათმა განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები გაახარა.

მადლობას ვუხდით ბატონ დავით ოქიტაშვილის, მადლობა მის შესანიშნავ გუნდს ქალბატონ მანანა დარსაძეს, მაია მენთეშაშვილსა და ნატაშა ინჯიას, რომლებსაც მხარი აუბეს ადგილზე კულტურის მუშაკებმა, რითაც არაერთ სოციალურად დაუცველ ოჯახს აგრძნობინეს ყურადღება, სითბო და სიყვარული.

საჩუქრად ჩამოსული ამანათები და 28 სოციალურად დაუცვლი ოჯახი სტატისტიკა როდია. ეს არის ორჯერ და ალბათ უფრო მეტჯერ გამრავლებული სიკეთე და ადამიანური თანადგომა დაყვედრებისა და დამცირების გარეშე, დახმარება ზრუნვით და სიყვარლით.

ის პატარა გოგო ბიჭები ცხოვრების ორომტრიალიდან ჯერ კიდევ შორს არიან, მაგრამ საჩუქარი, რომელიც მიიღეს იციან, რომ კეთილი“ინეზა ბებოს“ ძღვენია.

აქ ჩაგდებული სიკეთის მარცვალი შემდგომში სიკეთითვე იმრავლებს.

ლია ღვამბერია

„ჩემს ფოცხოს გაუმარჯოს“

მუზეუმი წლებია მუშაობს პროექტის „ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას“ ფარგლებში, რომლის მიზანია კუთხის ისტორიის შესწავლა და მისი პოპულარიზაცია. მოკვლევა- მოძიებას სხვადასხვა მიმართულება ჰქონდა. ერთ-ერთი იყო სოფლების წარსულის შესწავლა. ჩვენი ძირითადი დასაყრდენი იყო სკოლები. მათ გაითავისეს პროექტის მნიშვნელობა და ერთობლივად პედაგოგებისა და მოსწავლეების ჩართულობით ხდებოდა მნიშვნელოვანი ადგილების დაფიქსირება, ღირებული დოკუმენტებისა და ფოტო მასალების მოძიება, უხუცესებთან გასვლა.

ნოქალაქევში 103 წლის მოხუცმა ინტერვიუზე მისული მოსწავლეები ასე დალოცა: ,,ღორონთ" გორტიფინაფუდან, ჯვეში ამბე ვეგიჭყოლიდუათ მარგალ ცირემქია".

ბოლოს ხდებოდა მოკვლეული მასალების კლასიფიცირება და საპრეზენტაციოდ მომზადება.

ბევრი საინტერესო მასალა შემოვიდა მუზეუმის ფონდში.

იგივე პროცესი გავიარეთ ფოცხოში. თვეების განმავლობაში მიდიოდა სოფლის წარსულის შესწავლა და მასალების მოძიება, რომელშიც მუზეუმიდან ჩართულები იყვნენ: მუზეუმის სპეციალისტი ბორის დავითაია, მუზეუმის ფონდების მცველი გრიალა მირგატია, მეცნიერ მუშაკი მაია ლაშქარავა, ზემო და ქვემო ფოცხოს დირექტორები: მამუკა ჯოჯუა და მაია ახალაია, პედაგოგები და მოსწავლეები, სკოლასთან დაახლოებული პირები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქვემო ფოცხოს პედაგოგის კახაბერ შონიას აქტივობა, მან შეადგინა საპრეზენტციო გეგმა.

მ|წლის 25 აპრილს მუზეუმში მოეწყო პრეზენტაცია. გაკეთდა გამოფენა“ფოცხო“, სადაც გამოფენილი იყო ფოტო არქივი, ძველი პრესის მასალები, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული ნივთები: ურმის მაკეტი და რკინის სახნისიანი ხის გუთანი (ოგაფა). ურემი შემოწირა კახა შონიამ, გუთანი-სოფელ ფოცხოს მკვიდრებმა: ზურაბ და ზვიად ჯოჯუებმა.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა დამირ კუჭავამ, ღონისძიების შინაარსი ერთ კუპლეტში ჩაატია და ლექსით მიმართა ფოცხოელებს.

ზემო და ქვემო ფოცხოს მოსწავლეებმა: თაკო შონიამ, მარიამ ყურაშვილმა, მაია სანაიამ, ლინდა გოგიამ , ლიზი ჭაავამ, ზურიკო ხუბუამ ისაუბრეს სოფლის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ტოპონიმიაზე,კულტურულ მემკვიდრეობაზე, მე-2 მსოფლიო ომში დაღუპულებზე, გამოჩენილ ადამიანებზე, განათლებასა და მედიცინაზე, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაზე, ომისა და შრომის ვეტერანებზე, მათ საქმიანობაზე ომისა და შრომის პირობებში,სოფლის მეურნეობასა და მის მომავალ განვითარებაზე. მოსწავლეები: გიორგი ტორჩინავა, დავით ყურაშვილი, გოგა ჭაავა, მოსახლეობიდან აკრეფილი შაირებითა და გამოცანებით ირთობდნენ თავს. იმდენად ლამაზები და ლაღები იყვნენ, დარბაზიც აიყოლიეს.

პრეზენტაციის მსვლელობისას, შუალედურად, მუსიკალური ჩართვები ჰქონდათ: ნანა ჟვანიას, მარინა ჩიქოვანს, საბა ქუთელიას, კახა სანაიას.

ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდნენ: დათა ძიმისტარაშვილი და დათო მურღულია.

მოწონება თბილი სიტყვებით გამოხატეს: **ტარიელ დგებუაძემ** - სენაკის საპატიო მოქალაქე, ყოფილი გამგებელი, **საბა ოდიშარიამ**-საკრებულოს თავმჯდომარე, **ლევან ელიავამ** - მერის მოადგილე, **დარეჯან ზარანდიამ** - საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, რომელმაც ითხოვა ღონისძიების ყველა დეტალი სოცქსელში აეტვირთათ, **ლია ქობალავამ** - სენაკის საპატიო მოქალაქე, მუსიკათმცოდნე, **ბადრი ქუთელიამ** - ახალგაზრდობის სამსახურის და კულტურის ცენტრის დირექტორი, **გივი მისაბიშვილმა** - მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, **მამუკა ტორჩინავამ** - სოფელ ფოცხოში რწმუნებული, **კახა ტორჩინავამ** - საკრებულოს წევრი, დეპუტატი.

პრეზენტატორებმა ამომწურავად ილაპარაკეს სოფლის გამოჩენილ ადამიანებზე, რომლებსაც ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებიათ, საყურადღებო დეტალები ახლავს ფოცხოელი მიხეილ ღვინჯილიას ცხოვრებას.

სადაც არ უნდა ცხოვრობდე „ოდაბადე'' არ გტოვებს, განსაკუთრებით ეს გრძნობა მოჭარბებული აქვს სოფელში გაზრდილს.

მიხეილ ღვინჯილია კომუნისტური მმართველობის პერიოდის ნომენკლატურული პიროვნება იყო. ერთხელ თურმე საბჭოთა დელეგაცია ტოკიოში იმყოფებოდა, ცათამბჯენის თავზე წვეულება გაუმართეს, წამოდგა მიშა სუფრიდან და დაუძახა დელეგაციის ერთ - ერთ წევრს „მოდი გვაჯა(მისი მოფერებითი მიმართვა იყო) აივანზე გავიდეთ, სოფლის მასწავლებლობით დავიწყე და აქამდე მოვაღწიე, ჩემს საქმეს შევალიე მთელი ცხოვრება, ეს ყველაფერი ჩემმა სოფელმა მასწავლა, მოდი ჩემს ფოცხოს გაუმარჯოს.''

გრიალა მირგატია,
ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი

„სენაკი – ფესტივალი 2023“

ასე გვგონია, თითქოს გუშინ იყო, სენაკში მუსიკალურ ფესტივალს რომ ჩაეყარა საფუძველი. არადა უკვე ათი წელი გასულა. დაფუძნებიდან ერთ წელიწადში მისი არეალი ისე განივრცო, რომ დღეს იგი რეგიონალური არტ ფესტივალის სახით გვევლინება. ქალბატონ რუსუდან მილიუტინის განმარტებით, ფესტივალის ამოცანა იმთავითვე იყო მოზარდი თაობისთვის შეეყვარებინა კლასიკური მუსიკა და მისთვის პოპულარიზაცია გაეწია. უდაოა, რომ ფესტივალმა ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი, რადგანაც მისი მასშტაბები არნახულად გაიზარდა და დღეს იგი მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთს, იმერეთს, გურიას, რაჭა-ლეჩხუმს, აღმოსავლეთსაც კი. ამ გადმოსახედიდან ღიმილით ვიხსენებ ფესტივალის დაარსებასთან დაკავშირებულ ათი წლის წინანდელ ისტორიას, დაკავშირებულს ბატონ ვალერიან შიუკაშვილთან, რომელმაც ფაქტობრივად განსაზღვრა აღნიშნული ფესტივალის ბედი – მოხდა დაუჯერებელი რამ, ფაქტობრივად ვაკოს სტუმრობამ ჩვენთან, განაპირობა 2013 წელს ფესტივალის დაარსება - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

რაც შეეხება წლევანდელ სეზონს, სენაკის ,,არტ ფესტივალი- 2023" 15 მაისს აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, საზეიმოდ გაიხსნა. რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის პატრონაჟითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იმართება, გახსნეს ფესტივალის დამაარსებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, მსოფლიოში აღიარებულმა პიანისტმა, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატმა, ხელოვნების აკადემიის რექტორმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ, ვალერიან შიუკაშვილმა და სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, რუსუდან მილიუტინმა. საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მილოცვა, ფესტივალის სტუმრებს, სენაკის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა გააცნო. სენაკის მუსიკალური ფესტივალის დამაარსებელს, ვალერიან შიუკაშვილს, მის თითოეულ წევრსა და მონაწილეს, წარმატებები უსურვეს: სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ. ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრის წოდებითა და აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ: სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების ღვაწლმოსილი ხელმძღვანელები და სამეგრელოს რეგიონის პედაგოგები, რომელთაც სამუსიკო სკოლებში 40 წელზე მეტი მუშაობის ხანგრძლივობა და სენაკის ფესტივალში ათი წლის მანძილზე აქტიურად მონაწილეობის ისტორია აქვთ, ასევე ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრები.

მაყურებლის წინაშე მუსიკალური ნომრებით წარდგნენ გასული წლების ფესტივალების ლაურეატები, ნიჭიერებით გამორჩეული ახალგაზრდა შემსრულებლები და გუნდები.

ფესტივალის ფარგლებში რეგიონის მასშტაბით მრავალფეროვანი პროგრამით წარმოდგენილნი იყვნენ ზუგდიდის პირველი, მეორე და საგუნდო სამუსიკო სკოლები, ასევე ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მუსიკალურ-თეატრალური სტუდია „რიბი-რაბო“. აბაშის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ხობის, ფოთის სამუსიკო სკოლები.

სამტრედიის №2 და სოფლების: კულაშის, ტოლების, გომის, დიდი ჯიხაიშის სამუსიკო სკოლები.

ქუთაისის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე სამუსიკო სკოლებისა და მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი.

ვანის, ხონის, საჩხერის სამუსიკო სასწავლებლები და საჩხერის კულტურის ცენტრის მამია ხატელიშვილის სახელობის სტუდია.

წყალტუბოს სამუსიკო სკოლა და წყალტუბოს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სასულიერი გიმნაზია.

ზესტაფონის რ. ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა. ასევე ზესტაფონოს კულტურისა და შემოქმედების ცენტრი „ჯავარდენი“.

ხარაგაულის, ჭიათურის მეორე, მესამე და ბაღდადის სამუსიკო სკოლები.

ონის სამუსიკო სკოლა, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის ფოლკლორული ანსამბლი.

ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთისა და სუფსის სამუსიკო სკოლები.

ახალციხის, ხელვაჩაურის სამუსიკო სკოლები და თავისი მახინჯაურისა და ახალშენის ფილიალები,

ბათუმის რ. ლაღიძის, ზ. ფალიაშვილის, მ.ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სკოლის თამარის დასახლების ფილიალი, ასევე ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე და ქობულეთის სამუსიკო სკოლა. თბილისიდან კი მე-14 სამუსიკო სკოლა

რაც შეეხება სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლას, ფესტივალში მისი 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

საინტერესოა როგორი იყო მათი განწყობა? რა თქმა უნდა ამაღლებული. სამუსიკო სკოლებისა თუ შემოქმედებითი ჯგუფებისთვის ფესტივალში მონაწილეობა ხომ საპასუხისმგებლო და პრესტი-

„სენაკი - არტ-ფესტივალი 2023“

ჟულია, კონკურსის მნიშვნელობა კი განუზომლად დიდი, ამას ისინი თავად ამბობენ და ცდილობენ ყოველ წელს მაქსიმალურად მომზადებული წარსდგნენ ჟიურის წინაშე. ცხადია ფესტივალი ხელს უწყობს კონკურსანტებისა თუ მათ პედაგოგების, საერთოდ სამუსიკო სკოლების დაახლოებასა და გამოცდილების გაზიარებას, რაც მთავარია, მოტივაციას უჩენს მოსწავლეებს, ამიტომაც ისინი ფესტივალიდან ფესტივალამდე, მოლოდინის რეჟიმში არიან, ორიენტირებულნი სწავლასა და საშემსრულებლო ტექნიკის სრულყოფაზე, რათა კონკურსზე გამარჯვებები, წარმატებები, საკონკურსო ჯილდოების მოპოვებით გაიმყარონ.

აი, როგორია სიტყვებით გაცხადებული ემოციები:

დარეჯან ფაჩულია, სამუსიკო სკოლის პედაგოგი, სენაკის საპატიო მოქალაქე -,,ჩვენს ფესტივალს სენაკის ფესტივალის ლოგოთი მაისურზე ესტუმრნენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან ნორჩი მუსიკოსები... (სიხარულის ცრემლი მომადგა თვალზე) ამაზე მეტი ჯილდო განა არსებობს ფესტივალის შეფასებისას... ბავშვებს და პედაგოგებს ასე რომ უყვართ სენაკის არტ ფესტივალი, ჩვენი მაესტროს, ბატონ ვალერიან შიუკაშვილის დამსახურებაა".

ნაზი ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სამუსიკო სკოლის მენეჯერი- ,,ყოველ წელს პედაგოგები და მოსწავლეები განსაკუთრებულად ვემზადებით სენაკის არტ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული ფესტივალი ჰაერივით სჭირდება ჩვენს ბავშვებს, ის ერთგვარი სტიმულია იმისათვის რომ მათ გაუჩნდეთ მოტივაცია უკეთესად ისწავლონ, ეზიარონ გემოვნებიან მუსიკას.

მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს: ბატონ ვალერიან შიუკაშვილს, რუსუდან მილიუტინს, ყველას, ვინც ჩვენ ბავშვებს აძლევს საშუალებას გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები".

მარიკა მიქაბერიძე - ,,ძალიან სასიამოვნო და ლამაზი სანახაობა გვაჩვენა საოცარმა მოცეკვავემ, სუხიშვილების ყოფილმა სოლისტმა თეა დარჩიამ. მან მაღალი პროფესიონალიზმით და საოცარი ინსცენირებით შეასრულა ნომრები ცეკვის სტუდია „თედასთან“ ერთად. არაჩვეულებრივი გარემო სუფევდა სცენაზე. საოცარი განათებით, ეფექტებითა და მუსიკით. შეუძლებელი იყო ამ ყველაფრისთვის გეყურებინა ემოცების გარეშე. დაუვიწყარი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა მაყურებელმა დიდი ოვაციები გაუმართა მოცეკვავეს.... მართლაც, რომ არასოდეს დამავიწყდება ეს დღე-სასაწაული სენაკის თეატრის სცენაზე".

სენაკის არტ-ფესტივალის დიდი ხიბლი მასში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი ქართველი და უცხოელი მუსიკოს-შემსრულებელთა მონაწილეობაა, რომლებიც აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ყოველდღიურად მართავდნენ შემოქმედებით საღამოებს.

16 მაისს გამორჩეული ქართველი მომღერლების - ნატო მეტონიძისა და ლიზა ბაგრატიონის კონცერტი გაიმართა. სცენაზე ყველასათვის საყვარელი ქართული მელოდიები აჟღერდა. მომღერლებმა ასევე გაიხსენეს სასცენო მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდები და ფესტივალის სამახსოვრო ბანერზე დატოვეს ავტოგრაფები.

17 მაისს კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა. საზოგადოების წინაშე წარდგნენ ფესტივალის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, ხელოვნების აკადემიის რექტორი, სენაკის საპატიო მოქალაქე, ვალერიან შიუკაშვილი და ავსტრიელი პიანისტი, მოცარტის VIII საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი, გაბრიელ ტრიტრემელი.

19 მაისს მანანა დოიჯაშვილის სახელობის საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მერვე კონკურსის გამარჯვებულთა კონცერტი ჩატარდა.

21 მაისს სუხიშვილების პრიმა მოცეკვავემ და სოლისტმა, თეა დარჩიამ, ცეკვის სტუდია ,,თედასთან" ერთად, შეხვედრა-კონცერტი გამართა.

22 მაისს მაყურებელთა წინაშე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, კლასიკური და ფოლკლორული ჟანრის სიმღერებისა და კომპოზიციების შესრულებით საყოველთაოდ ცნობილი რუსთავის კაპელა წარსდგა, გუნდის ხელმძღვანელი და მთავარ დირიჟორი თამარ ბუაძე

23 მაისს ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა, თამარ ბულიამ, მასტერკლასი ჩაატარა. შეხვედრაზე მან ისაუბრა მუსიკალური ხელოვნების ნიუანსებსა და საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე.

24 მაისს კი ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ბათუმის კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორისა და მუსიკის დოქტორისათვის ირინა ხერჟისათვის მოესმინა.

25 მაისს ,,სენაკი არტ-ფესტი 2023'', აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გალაკონცერტით საზეიმოდ დაიხურა. მაყურებლის წინაშე სენაკის მეათე მუსიკალური ფესტივალის წარმატებული მონაწილეები წარდგნენ. დასკვნით საღამოს ცნობილი მსახიობები - თათული ედიშერაშვილი და თამარ ნიკოლაძე უძღვებოდნენ. ლაურეატთა და დიპლომანტთა დაჯილდოებას და ფესტივალის საზეიმო დახურვას სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მუსიკალური სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. მუსიკალური ფესტივალის საპატიო დიპლომები გადაეცათ სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ გადელიას, საკრებულოს თავმჯდომარეს, საბა ოდიშარიას, მერის მოადგილეს, ლევან ელიავას, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს, გივი მისაბიშვილს, ხელოვნების ცენტრის დირექტორს, ვეფხვია ვეფხვაძეს. ფესტივალის ჟიურიმ, ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით, მოუსმინა საქართველოს მასშტაბით, 50-მდე სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის 3 000-ზე მეტ მოსწავლეს. მათგან ლაურეატის წოდება მიენიჭა - 100-ზე მეტ წარმატებულ შემსრულებელს, გუნდსა და შემოქმედებით ჯგუფს; 2000-მდე მონაწილე - საპატიო დიპლომით, ხოლო 700-ზე მეტი - სიგელით დაჯილდოვდა. საღამო ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა, ფესტივალის ჰიმნად ქცეული ვაჟა აზარაშვილის ,,მუსიკით'', დაასრულა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მომავალშიც ფესტივალს აქტიური მხარდაჭერა აღუთქვა.

კიდევ ერთი წარმატებული, ნაყოფიერი წელი მონიშნა სენაკის არტ ფესტივალმა თავის კალენდარზე. მან უკვე თავისი ხელწერა, თავის ტრადიცია დაამკვიდრა. ეს კი მუნიციპალიტეტს განსხვავებულ ფუნქციას ანიჭებს, მაისის ეს ათი დღე მსმენელებისა თუ მონაწილეებითვის ხელოვნებასთან წილნაყარი დღეები იყო სიურპრიზებითა და ფასეულობებით დატვირთული.

ვულოცავთ ფესტივალის ორგანიზატორებს, მონაწილეებს, კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლებს, ყველას ფესტივალის საიუბილეო 10 წლისთავს და ვუსურვებთ შემოქმედებით წინსვლას.

ბაჩანა სართანია,
მაია გერგაია

ერთი ოჯახის ისტორია

დაუვიწყარი, შთამბეჭდავი და საინტერესო იყო 17 მაისს სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართული ღონისძიება რუბრიკით ,,ერთი ოჯახის ისტორია". დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა, დამირ კუჭავამ და წარუდგინა სამეგრელოს თავად კონსტანტინეს და მაია დადიანების შთამომავალი, სენაკის საპატიო მოქალაქე, ექიმი, საზოგადო მოღვაწე, პაატა ქურდოვანიძე.

ბატონმა პაატამ მეტად საინტერესოდ და ამომწურავად ისაუბრა დიდი წინაპრების ისტორიაზე, კონკრეტულად კი სამეგრელოს თავად კონსტანტინე და მაია დადიანების შვილის, ბატონიშვილ გრიგოლ დადიანის შესახებ. რაინდულ ტრადიციებზე აღზრდილმა, დედის წინააღმდეგობის მიუხედავად როგორ იქორწინა სათნოებითა და სილამაზით განთქმული ოლღა დადიანზე (10 შვილის აღმზრდელი დედა - შემდგომში თეკლათის მონასტრის იღუმენია ელეონორა).

დედამ, კნეინა მაიამ, მართალია, უფროს ვაჟს უმამობა არ აგრძნობინა და საკადრისი ქორწილიც გადაუხადა, მაგრამ ურჩობისათვის დასაჯა. განუცხადა – ცალკე დასახლებულიყო მისთვის განკუთვნილ ხორშის მამულში, საგამზრდელოში, თავად ჩიჩუათა სამოსახლოსთან ახლოს (იმ ადგილს დღესაც ,,დოხორეს" უწოდებენ).

მამა, კონსტანტინე ბატონიშვილს იმ დროის შესაფერისი აღზრდა-განათლება ჰქონდა მიღებული. ახალგაზრდობიდანვე სამხედრო სამსახურში მყოფი პენსიაზე გენერალ-ლეიტენანტის ჩინით გავიდა. კავკასიის ომების მონაწილე, დაჭრილიც არაერთხელ ყოფილა. ფლობდა იმპერიის უმაღლეს ჯილდოებს. მოვლილი ჰქონდა ევროპის ქვეყნები, პეტერბურგშიც ხშირად უხდებოდა ცხოვრება.

უფროსი ძმის – დავითის გარდაცვალების შემდეგ ბატონიშვილი კონსტანტინე მხარში ამოუდგა რძალს – მთავრინა ეკატერინეს.

კონსტანტინე დადიანის ღირსეული თანამეცხედრე მაია (მარიამ) ბატონიშვილიც დადიანთა სამთავრო ოჯახის წევრი იყო. მეუღლისაგან განსხვავებით, მან მთელი ცხოვრება ხიბულაში, საკუთარი გემოვნებით აგებულ სასახლეში გაატარა და იშვიათ შემთხვევაში თუ ტოვებდა იქაურობას.

გრიშას დედა ოჯახის შექმნამდეც განაწყენებული ჰყავდა, რადგან მამისა და უმცროსი ძმისგან განსხვავებით, გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე უარი თქვა და არც სამხედრო სამსახურში ისურვა ყოფნა. თავისუფალი კაცი გახლდათ, მოსწონდა ყველაფერი ტრადიციული და მამაპაპური, ღირსებით ატარებდა მთავრის შვილიშვილობის პატივს... ლხინი, პოეტური გაბაასება მისთვის უცხო არ გახლდათ. ბოჰემურ ცხოვრებას აყოლილი არაერთგზის გაკიცხა დედამ, მაგრამ შვილი იმპერატორის ოფიციალურ სამსახურში ჩადგომაზე ვერაფრით დაითანხმა...

უფროს ბიძაშვილთან, ნიკო მინგრელსკისთან ერთად გრიშამაც გარკვეული წვლილი შეიტანა მთავრობის რუსიფიკატორული განზრახვის - სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართულის ნაცვლად მეგრულის შემოღების ჩაშლაში.

ბატონიშვილი არ ესწრაფოდა უმაღლეს ოფიციალურ წრეებთან ურთიერთობას და ამრეზით უყურებდა იმ "სიკეთეებს", რუსეთის ტახტის სამსახური რომ სთავაზობდა. ზნემაღალ და სხვა უამრავ ღირსებათა მქონეს საზოგადოება ემადლიერებოდა და გლეხობასაც უყვარდა.

ხორშის სასახლე იმდროინდელი სამეგრელოს ერთგვარ კულტურულ ცენტრად იქცა. ოლღამ სულიერ მოძღვრად მღვდელი ხარიტონ ძიძავა აირჩია, შემდეგ კი - აწ წმინდანად შერაცხული ალექსი შუშანია. გრიშა ბატონიშვილის სულიერი მოძღვარიც წმინდა ალექსი ყოფილა. გრიშა ბატონიშვილი, თუ ქალბატონი ლოცვად იდგა, რაგინდ ნაღვინევი ყოფილიყო, მეუღლის საწოლ ოთახში ფეხს არ შედგამდა. ხან კი ხუმრობანარევი ღიმილით იტყოდა: - ციცუს ოჯახში მხოლოდ ჩემი სიცოცხლე აჩერებს, თორემ როგორც კი მოვკვდები, იმ დღესვე მონაზვნად აღიკვეცებაო... მართლაც, 1913 წელს 47 წლის საღსალამათი გრიგოლ დადიანის უეცრად გარდაცვალების შემდეგ ოლღა თეკლათის მონასტერში ელეონორას სახელით აღიკვეცა მონაზვნად....

განსაკუთრებით საინტერესო იყო უფროსი თაობის წინაპრებისგან მოსმენილი ისტორიები, რომელიც ცხადყოფდა, რომ გრიგოლ დადიანის ოჯახი გლეხობის მხრიდან სიყვარულით სარგებლობდა. გიორგის სახით გლეხი მფარველს პოულობდა.

ბატონმა პაატამ წარმოადგინა უნიკალური ფოტოარქივი.

შეხვედრას სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი, ბადრი ქუთელია, დირექტორის მოადგილე, ნათია ეჯიბია, მოწვეული სტუმრები და თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამ ღონისძიებას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება ჰპოვა, გთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი პოსტიდან:

„საინტერესოდ მოთხრობილი სამეგრელოს მთავართა - დადიანთა შთამომავლების, სოფელ ხორშში აღზრდილთა ცხოვრების ისტორიები,ფოტოები, პირადი მიმოწერები იმდენად შთამბეჭდავი იყო, გული მწყდება, რომ არც ისე ბევრნი ვიყავით მსმენელები...ალბათ კარგი იქნება, ბატონი პაატას მიერ მოთხრობილი უაღრესად საინტერესო ისტორიული ამბები პირველ რიგში ახალგაზრდებმა მოისმინონ და გაიგონ როგორი ხალხი ცხოვრობდა ჩვენს კუთხეში, რა ღირებულებებით და რა ცხოვრების წესებით ცხოვრობდნენ. მადლობა ბატონ პაატა ქურდოვანიძეს და ორგანიზატორებს შესანიშნავი ღონისძიებისთვის (ციცინო ყურაშვილი)".

მ. შონია

მსგავსი გაკვეთილების მნიშვნელობა დიდია

ჟიული შარტავას მუზეუმი და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ამაღლების დღესასწაულსა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. ამასთან დაკავშირებით წმინდა ალექსი ბერის სახელობის სასულიერო სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებისთვის ისტორიკოსმა გია ჯალაღონიამ, მწერალმა და პუბლიცისტმა ბორის დავითაიამ ჩაატარეს გაკვეთილი.ღონისძიება გახსნა ბატონმა დამირ კუჭავამ. მომხსენებელთა საინტერესო გამოსვლებმა, დეტალიზებულმა ინფორმაციებმა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ჩვენი ქალქის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე საყურადღებო ფაქტებმა და მსჯელობებმა დააინტერესა მოსწავლეები, ისინი განიმსჭვალნენ მოწიწებით ჩვენი ქვეყნისა და მათ შორის მუნიციპალიტეტის ისტორიისადმი.

ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტმა, ქალბატონმა მარინე აბრამიამ აღნიშნა, რომ ასეთი საუბრები დიდ მოტივაციას უჩენს ახალგაზრდებს და რომ მსგავსი გაკვეთილების მნიშვნელობა დიდია. საინტერესო საუბრისათვის გამომსვლელებს მადლობა გადაუხადეს მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის სპეციალისტებმა: ნ. საჯაიამ და ს. გარუჩავამ. თან მომავალი თაობისადმი თავიანთი კეთილგანწყობა დაფიქსირეს. გვინდა წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდებს ცხოვრების გზაზე, რომლებიც დიდი ინტერესს იჩენენ ქვეყნის ისტორიისადმი. კარგი განათლებით ისინი ღირსეულად შეძლებენ, მამულის საკეთილდღეოდ საქმიანობას. ამიტომ წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

ნატო საჯაია
სენაკის ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტი

საბიბლიოთეკო კვირეული

ბიბლიოთეკა (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წიგნის საცავს) კულტურულ-საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებაა, ბეჭდვით ნაწარმოებთა საზოგადოებრივი სარგებლობის ორგანიზატორი. სისტემატურად კრებს ბეჭდვით ნაწარმოებებს, იცავს მათ, უწევს პროპაგანდას და გასცემს მკითხველებზე, ატარებს აგრეთვე საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას.

საქართველოში ბიბლიოთეკების ისტორია უკავშირდება მონასტრების საქმიანობას. ეკლესია-მონასტრების დაარსებისთანავე დაიწყეს წიგნსაცავის შექმნაზე ზრუნვა. ყველა ეკლესია-მონასტერს თავისი წიგნსაცავი ჰქონდა. ბიბლიოთეკებს ძირითადად შემოწირული წიგნები შეადგენდნენ. X საუკუნეში უკვე მოწესრიგებული ჩანს წიგნების დაცვის, სარგებლობისა და აღნუსხვა-აღწერის საქმე. წიგნით სარგებლობა მხოლოდ საცავში შეიძლებოდა. დიდ კულტურულ-სამწიგნობრო ცენტრებს, რომლებიც გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით VIII-IX საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში შეიქმნა, თავისი ბიბლიოთეკა ჰქონდა.

საქართველოში ყოველი წლის 30 აპრილს აღინიშნება ბიბლიოთეკარის დღე. ამ დღესთან დაკავშირებით ტრადიციულად მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართება საბიბლიოთეკო კვირეული.

საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივით 2002 წლიდან იმართება, 3 მაისს საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებით გაიხსნა რომელსაც ბიბლიოთეკის სპეციალისტი, ქალბატონი ლუიზა კემულარია უძღვებოდა. ბიბლიოთეკარებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობას აქტიური მკითხველები და მოსწავლე-ახალგაზრდები ღებულობდნენ. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ ნაიარა ფოფხაძე, ბიჭუნა თუნთია და თემურ ცხაკაია. მოეწყო თემატური გამოფენა ,,30 აპრილი ბიბლიოთეკარის დღეა".

ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ირმა კუპრეიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი, ბადრი ქუთელია, დირექტორის მოადგილე, ნათია ეჯიბია და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საპატიო სტუმრის სტატუსით ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი ქალბატონი ციური ხორავა.

ბიბლიოთეკის დღესთან დაკავშირებით საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები და სოფლის ბიბლიოთეკარები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

ლუიზა კემულარია -,,**100 წელზე მეტია ჩვენი ბიბლიოთეკა ემსახურება ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, სტუდენტებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას. ამჟამად ჩვენი მუნიციპალიტეტის სივრცეში 17 ბიბლიოთეკაა: საჯარო, საბავშვო და 15 სასოფლო ბიბლიოთეკა.**

საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობენ: სპეციალისტები; იამზე გვასალია, ირინა ნეჩაევა; ბიბლიოთეკარები: ნაზი ჯოჯუა, ფლორა ვახანია, ნაირა ფოფხაძე; ბიბლიოგრაფი იამზე ჯიმშელეიშვილი; მხატვარ-გამფორმებელი ლეილა სოსელია.

საბიბლიოთეკო კვირეული წარმოაჩენს ბიბლიოთეკების პრობლემებს, მიღწევებსა და მისწრაფებებს, ღია დიალოგის გზით დასახავს მათი პოტენციალის, ოპტიმალური გამოყენების გზებს.

კვირეულთან დაკავშირებით როგორც საჯარო ბიბლიოთეკაში, ასევე ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკაში დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიებები".

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ახალისოფლის, ზემო ჭალადიდის, ნოქალაქევის, გეჯეთის, მენჯის, ნოსირის, ფოცხოს, ძველი სენაკის და ზანის ბიბლიოთეკებში გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძებები და აქტივობები. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს როგორც მოსახლეობის, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის წიგნიერების დონის ამაღლებას

15 მაისს საჯარო ბიბლიოთეკაში საზეიმოდ დაიხურა საბიბლიოთეკო კვირეული. სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორმა, ბადრი ქუთელიამ, მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკარებს ფასდაუდებელი საქმიანობისათვის, გადასცა მათ სიგელები, ასევე მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილე ნორჩ და აქტიურ მკითხველებს.

მ. ჭუბაბრია

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთური
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი ჯომპიუტერზე აინყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499